

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნარკოპოლიტიკაზე

მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის პროცესის შეფასება

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნარკოპოლიტიკაზე - მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის პროცესის შეფასება

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი

2021

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

დოკუმენტის ავტორი: თორნიკე გერლიანი

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

ქართული ენის რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო. ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი **4**

I. მარიხუანასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა **5**

1.1. ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 5

1.2. ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება 7

1.3. გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 8

1.4. ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 9

1.5. ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 10

II. მარიხუანასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვა **11**

III. სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა **15**

3.1. ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 15

3.2. ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 16

3.3. სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 17

IV. სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვა **19**

დასკვნა **22**

ბიბლიოგრაფია **25**

შესავალი

საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების თუ მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვის მიმართ არსებული სახელმწიფო პოლიტიკა წლების განმავლობაში უმძიმესი სასჯელებისა და რეპრესიის მექანიზმებს ეყრდნობოდა. ამ კუთხით ყველაზე მძიმე გამოცდილება 2006 წლიდან აითვლება, როდესაც იმჟამინდელმა ხელისუფლებამ „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა" გამოაცხადა, რაც, სხვებთან ერთად, ნარკოტიკულ დანაშაულებსაც შეეხო.[1] მკაცრმა ნარკოპოლიტიკამ, გარდა იმისა, რომ უამრავი ადამიანის ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვა, ვერც ნარკოტიკების მომხმარებელთა ზოგადი რიცხვი შეამცირა.[2] პირიქით, ზოგიერთი მონაცემის თანახმად, მაღალი რისკის შემცველი ნარკოტიკების მოხმარების ფაქტები წლების განმავლობაში მზარდი იყო.[3]

2012 წელს ახლად მოსული ხელისუფლება ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე საუბრობდა.[4] შედეგად, იმ წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით შემცირდა სისხლისსამართლებრივი სანქციები ნარკოტიკული საშულებების შეძენა-შენახვაზე, ხოლო მთავრობამ მიიღო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, *„რომელშიც ხაზი გაესვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის, ზიანის შემცირების პროგრამების და ნარკომომხმარებლების მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის დაძლევის მნიშვნელობას".*[5] ამის მიუხედავად, ნარკოპოლიტიკა საქართველოში მაინც ზედმეტად მკაცრი დარჩა და 2015 წლამდე არსებითი ცვლილება არ განუცდია.

2015 წლიდან, ნარკოპოლიტიკის სფეროში რადიკალური გარდატეხები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დაიწყო. სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა მარიხუანის და სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების, მოხმარების მიზნით ფლობის, შეძენა-შენახვისა და კულტივაციის საკითხებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით ფლობისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება; მარიხუანის პირად სივრცეში მოხმარება ლეგალიზდა; თავისუფლების აღკვეთა აშკარად არაპროპორციულ სასჯელად გამოცხადდა მოსახმარად გამოუსადეგარი ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის და სხვ.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, აჩვენოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დინამიკა, მათი შინაარსი, ძირითადი არგუმენტები და, საჭიროების შემთხვევაში, კრიტიკულად გააანალიზოს ისინი. ამის საფუძველზე, დოკუმენტი მიმოიხილავს პარლამენტის მიერ ამ გადაწყვეტილებების აღსრულების და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის პროცესებს. დოკუმენტი ერთგვარი მცდელობაა, კრიტიკულად დაინახოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის გზაზე საკუთარი როლისა და მოქმედებების განსაზღვრის პროცესი. ამასთანავე, დოკუმენტში ნაჩვენები იქნება, ჯერ კიდევ რა გამოწვევები არსებობს ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციის მიმართულებით და რა მნიშვნელობა

[1] სამაგალითო დასჯა - საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, მოკლე მიმოხილვა, Human Rights Watch, 2018, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ylieid, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ენიჭება ამ პროცესში, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს, მეორე მხრივ კი - პარლამენტს.

დოკუმენტში განხილული საკითხების შესაბამისად, გამოსაყოფია შემდეგი მიგნებები:

- ნარკოპოლიტიკა საქართველოში დღემდე მკაცრია. ის ზრუნვაზე ორიენტირებული სოციალური მექანიზმების ნაცვლად, ნარკოტიკების მომხმარებლების დასჯასა და რეპრესიაზეა ორიენტირებული
- საკანონმდებლო ორგანო საკუთარ თავს ვერ ხედავს ნარკოპოლიტიკის რადიკალური გარდაქმნის მთავარ აქტორად. როგორც წესი, პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია და ნარკოპოლიტიკის კუთხით თავად კი არ ქმნის პოლიტიკურ დღის წესრიგს, არამედ რეაქციულ რეჟიმში მოქმედებს
- საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციისა და ლიბერალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯები ფრაგმენტული და არასაკმარისია, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების განსაზღვრის თვალსაზრისითაც. საქართველოს პარლამენტს ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმის განხორციელების პოლიტიკური ნება დღემდე არ გამოუმჟღავნებია
- პარლამენტმა ზედმეტად დაავიწროვა და არასწორად განმარტა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მარიხუანის პირად სივრცეში მოხმარებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყენებული არგუმენტაცია. გარდა ამისა, პარლამენტი დღემდე ვიწროდ ხედავს მარიხუანის მოხმარების საკითხს და არ ცდილობს მისი ლეგალურად მოპოვების გზების მოწესრიგებას
- ზოგიერთ შემთხვევაში, შეიმჩნევა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის დროში გაჭიანურების პრაქტიკა
- თავად საკონსტიტუციო სასამართლოც, რიგ შემთხვევებში, უსაფუძვლოდ აჭიანურებს გადაწყვეტილებების გამოტანის პროცესს. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება 6 წელია, არ გამოუტანია
- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ზოგიერთი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება პრობლემურია, კერძოდ, არ გამოკვეთს სათანადო და მკაფიო ორიენტირებს ზრუნვაზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკის შესამუშავებლად. ასევე, ის დასაშვებად მიიჩნევს რიგი ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ რეპრესიული ზომების გამოყენებას.

I. მარიხუანასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა

1.1. ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციის გზაზე საწყისი წერტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წელს მიღებული გადაწყვეტილება გახდა საქმეზე, „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა.[6] ბექა წიქარიშვილის საქმეში სასამართლოს მიერ გამოყენებული

[6] ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში (შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019, გვ. 27, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/hi0irf, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

არგუმენტაცია არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან ის „ლაიტმოტივად“ გასდევს არა მხოლოდ მარიხუანის, არამედ სხვა ნარკოტიკების მოხმარებისა და მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებებს.

წინამდებარე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ადამიანის მიერ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების არსზე და მიუთითა, რომ *„საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით პირის თავისუფლების აღკვეთა აუხსნელი და გაუმართლებელია“.*[7] ასეთ შემთხვევებში პირისთვის საპატიმრო სასჯელების გამოყენება მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს ემსახურება. ეს კი, სასამართლოს თქმით, ინდივიდს ძალაუფლების ობიექტად აქცევს, *„რადგან, სასჯელი ლეგიტიმაციას არ იღებს ქმედებისგან, მას არ ამართლებს პირის ქმედებიდან მომდინარე საშიშროება. ამგვარად, ადამიანი იქცევა ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რაც გარდაუვლად იწვევს მისი ღირსების ხელყოფას“.*[8] გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სამოტივაციო ნაწილში საუბარია ნარკოდამოკიდებული პირისთვის ზრუნვის, და არა დასჯის, მექანიზმების გამოყენების მნიშვნელობასა და გონივრულობაზე. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი დამოკიდებული ხდება კონკრეტულ ნივთიერებაზე, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება გაუგებარია“.[9]

მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა იმ შემთხვევების ანალიზისთვისაც, როდესაც შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ მარიხუანის შეძენა-შენახვა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად გამოაცხადოს, ხოლო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს. სასამართლო მიუთითებს, რომ საკითხი უნდა შეფასდეს ორ ალტერნატიულ მოცემულობაზე დაყრდნობით. კერძოდ, იწვევს თუ არა მარიხუანის მოხმარება სხვა დანაშაულის ჩადენას/ზრდას (1); და მარიხუანის შეძენა-შენახვა თავისთავად ხომ არ შეიცავს მისი გავრცელების და, შესაბამისად, სხვების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს (2).[10]

ზემოაღნიშნულ ორ პირობაზე საუბრისას, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველ შემთხვევაში ვერ დგინდებოდა უშუალოდ მარიხუანის მოხმარებით სხვა რომელიმე დანაშაულის ჩადენის/ზრდის უტყუარად დადასტურებული ფაქტი (ე.ი. არ არსებობდა კორელაცია ამ ორ მოვლენას შორის).[11] ამავე კონტექსტში, სასამართლომ აღნიშნა, რომ *„შეზღუდვას/რეგულირებას შეიძლება ექვემდებარებოდეს ქმედება, რომელიც ანტისოციალურია თავისი ხასიათით და რომელმაც, მაღალი ალბათობით, შეიძლება გამოიწვიოს რეალური საფრთხე ასეთი ქმედების განხორციელების მომენტში, პოტენციურად შეუქმნას საფრთხე სხვათა ჯანმრთელობას ან საზოგადოებრივ წესრიგს. ამასთან, ისიც ცხადია, რომ ანტისოციალურ*

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015, II სამოტივაციო ნაწილი, 82-ე პარა., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/b4o2h7, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[8] იქვე, 83-ე პარა.
[9] იქვე, 82-ე პარა.
[10] იქვე, 85-ე პარა.
[11] იქვე, 86-ე პარა.

ქმედებაზე სახელმწიფოს პასუხი უნდა მკაცრდებოდეს მხოლოდ ქმედებით გამოწვევადი საფრთხეების სიმწვავის, რეალურობის ხარისხის და მასშტაბის მიხედვით".[12]

მეორე შემთხვევის ანალიზისას, სასამართლომ, ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვა თავისთავად არ მიუთითებდა მისი გასაღების მიზანზე.[13] მიუხედავად იმისა, რომ 50-70 გრამი გამომშრალი მარიხუანა უფრო მეტია, ვიდრე ერთი ადამიანის მიერ ერთდჯერადი მოხმარებისთვის სამყოფი დოზა (რაც საშუალოდ 1 გრამს შეადგენს), ის, შესაძლოა, ერთი ადამიანის მიერ, მისი დროის ხანმოკლე მონაკვეთში მოხმარებისთვის იყოს გამიზნული.[14] ეს, მათ შორის, გამოწვეულია იმითაც, რომ მარიხუანის მოწევისას განსაკუთრებით დაბალია მისი ზედოზირების რისკები.[15] ამდენად, ამ შემთხვევაში, სასამართლომ მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვა მის რეგულარულ მომხარებელს დაუკავშირა და არა მხოლოდ დამწყებს/ექსპერიმენტატორს. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მოყვანილი ალტერნატიული პირობებით სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დასაშვებობის შემოწმება, საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო მეტად განავრცო და მომდევნო წლებში სხვა ნარკოტიკული საშუალებების შემთხვევებთან მიმართებით გამოიყენა.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ, 70 გრამამდე მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, ღირსების უფლებასთან წინააღმდეგობის გამო, არაკონსტიტუციურად მიიჩნია.

1.2. ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება

2017 წელს, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე. წარდგინებაში აღნიშნული იყო, რომ 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შესაძლებელს ხდის 100 გრამამდე ნედლი მარიხუანისთვის საპატიმრო სასჯელად თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, წინააღმდეგობაში მოდის ბექა წიქარიშვილის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან და მის დამძლევ ნორმას წარმოადგენს. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, აღემატებოდა თუ არა 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შეძენა-შენახვიდან მომდინარე საფრთხე, ნარკოტიკული ნივთიერების მასიდან გამომდინარე, 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვიდან მომდინარე საფრთხეს.[16]

განჩინების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, ნედლ მარიხუანაში წყლის შემცველობა უფრო მეტია, რაც ზრდის მცენარის მასას თავად ნარკოტიკული თრობის უნარის ზრდის გარეშე. სასამართლოს მსჯელობის თანახმად, სწორედ ამით არის განპირობებული ის მიდგომა, რომ კანონით, *„რაოდენობრივი მაჩვენებლები გრამებში, რომლითაც განისაზღვრება აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა, თითოეულ შემთხვევაში ნედლ მარიხუანასთან მიმართებით ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე გამომშრალ*

[12] იქვე, 75-ე პარა.
[13] იქვე, 92-ე პარა.
[14] იქვე.
[15] იქვე.
[16] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №3/1/855, 2017, II სამოტივაციო ნაწილი, მე-11 პარა., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/jyd9i2, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

მარიხუანასთან მიმართებით".[17] აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მასის გათვალისწინებით 100 გრამამდე ნედლი მარიხუანა უფრო ნაკლები საფრთხის შემცველია, ვიდრე 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა.[18]

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა.

1.3. გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2017 წელს სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მარიხუანის მოხმარებისთვის ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა და, შესაბამისად, მოახდინა მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია.[19] ბექა წიქარიშვილის საქმისგან განსხვავებით, ეს გადაწყვეტილება სადავო ნორმის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან წინააღმდეგობას დაეფუძნა.[20]

გივი შანიძის საქმე შეეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ითვალისწინებდა მარიხუანის მცირე ოდენობით მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაკისრებას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მარიხუანის მცირე ოდენობით მოხმარების რეკრეაციულ მიზანზე და მიუთითა, რომ *„მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ძირითადად, ხორციელდება დასვენებისა და გართობის მიზნით. [...] პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ნებას რთავს ადამიანს, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, გადაწყვიტოს, თუ რომელი ტიპის გასართობი თუ რეკრეაციული აქტივობით დაკავდება იგი. ეჭვგარეშეა, რომ ადამიანის გასართობი აქტივობები მიეკუთვნება მისი პირადი ავტონომიის სფეროს. შესაბამისად, პიროვნების ზემოქმედება საკუთარ თავზე და ამგვარად გართობის ან სიამოვნების მიღება თავისთავად ხვდება მისი თავისუფალი განვითარების სფეროში".*[21] საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ პირის უფლება, თავად შეარჩიოს მისთვის სასურველი განტვირთვის სახე, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, პირადი ავტონომიით დაცული სფეროა.[22]

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს ის მსჯელობა, რომლითაც მან პარალელი გაავლო მარიხუანასა და ალკოჰოლის მოხამარებას შორის. ამ მსჯელობის მიხედვით, ალკოჰოლის მოხმარებაც კულტურული ან/და გასართობი მიზნებით ხდება. რამდენადაც ალკოჰოლზე დამოკიდებულება ინდივიდუალურ შემთხვევაში ვითარდება, ჰიპოთეტურია იმის მოლოდინი, რომ ის გამოიწვევს აბსტინენციის მდგომარეობას და ამ მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ მისი

---

[17] იქვე, მე-12 პარა.
[18] იქვე, მე-13 პარა.
[19] ანა ნასრაშვილი, დასახელებული კვლევა, გვ. 29.
[20] იმჟამად მოქმედი რედაქციით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი. მოქმედი რედაქციით, ეს უფლება კონსტიტუციის მე-12 მუხლშია გათვალისწინებული.
[21] საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/ 13/ 732 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2017, II სამოტივაციო ნაწილი, მე-12 პარა., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ikleed, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[22] იქვე.

მოპოვების მიზნით დანაშაულის ჩადენას.[23] სასამართლოს თქმით, არსებითად მსგავსია მარიხუანის მოხმარების მიზნები და ეფექტები და, შესაბამისად, მისი მოხმარების ინდივიდუალური შემთხვევების დასჯადობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ვარგის საშუალებად ვერ განიხილება.[24]

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა და ჯანსაღი ცხოვრების წესი საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, თუმცა ის სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის სფეროს უნდა წარმოადგენდეს.[25] ამ ნაწილში სახელმწიფოს ინტერვენციის საგანს შეიძლება დაექვემდებაროს მარიხუანის პროდუქციის რეკლამირება, არასრულწლოვანთა წვდომა ამ პროდუქტზე და სხვ.[26]

1.4. ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით არსებული სანქციების ნაწილში უკვე განხილული საქმეების ლოგიკური გაგრძელებაა 2018 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე, „ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მარიხუანის პირად სივრცეში მოხმარება ლეგალიზდა.[27] კერძოდ, სასამართლომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან წინააღმდეგობრივად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას მარიხუანის პირადი მოხმარებისთვის (გარკვეული გარემოებების არარსებობის პირობებში).

სამოტივაციო ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად წინა საქმეებში გამოყენებულ არგუმენტაციას დაეყრდნო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარება არ არის დაკავშირებული მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მიყენებასთან და, ამავე დროს, არ წარმოშობს საფრთხეს მესამე პირებისთვის (არ დგინდება პირდაპირი კავშირი მის მოხმარებასა და რომელიმე სხვა დანაშაულის გამოწვევას შორის).[28] შესაბამისად, მარიხუანის მოხმარებისთვის რაიმე ტიპის სასჯელის დაწესება არ არის გამართლებული არც მომხარებლის ჯანმრთელობის და არც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებით. საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა, რომ *„სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ადამიანის ავტონომიურობას, მის ნებაყოფლობით არჩევანს, მისი ცხოვრების წესს და არ ჩაერიოს მასში, თუკი იმავდროულად არ არსებობს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების თუ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების რეალური ხელყოფის რისკი. მით უფრო გაუმართლებელი და ექსცესიური შეიძლება იყოს ჩარევა, როდესაც საქმე შეეხება საკუთარი თავისათვის ზიანის მიმყენებელი ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებას“.*[29]

[23] იქვე, 37-ე პარა.
[24] იქვე.
[25] იქვე, 48-ე პარა.
[26] იქვე.
[27] ანა ნასრაშვილი, დასახელებული კვლევა, გვ. 31.
[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/1282 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018, II სამოტივაციო ნაწილი, მე-16 და 31-ე პარა., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/5gcoji, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[29] იქვე, 30-ე პარა.

ამავე საქმეში, სასამართლომ გარკვეულ გარემოებებში მარიხუანის მოხმარების აკრძალვის ლეგიტიმურ საფუძვლებზეც იმსჯელა. ასეთი საფუძველია მარიხუანის მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვნების დაცვა. კერძოდ, გონივრულია მარიხუანის მოხმარების შეზღუდვა არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში ან მათი თანდასწრებით.[30] გარდა ამისა, დასაშვებია, რომ დაწესდეს შეზღუდვა სხვა *„სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არმიაში, სამედიცინო, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში, აგრეთვე, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში), საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საჯარო წესრიგის ინტერესების დასაცავად“.*[31] ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებელია მარიხუანის მოხმარების აკრძალვა *„კერძო, პრივატულ სივრცეში ან სხვაგან, დასვენების, განტვირთვის, გართობის მიზნით“.*[32]

1.5. ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ზურაბ ჯაფარიძისა და ვახტანგ მეგრელიშვილის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, 2017 წელს, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა მარიხუანის კულტივაციის საქმეები. ამ საქმეში გაერთიანებული იყო სამი სხვადასხვა სარჩელი, რომლებიც შეეხებოდა 63.73 გ., 150.72 გ. (დიდი ოდენობები) და 265.49 გ. (განსაკუთრებით დიდი ოდენობა) მცენარე კანაფის უკანონოდ დათესვას, მოყვანასა და კულტივირებას.

ამ საქმეშიც, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა საფრთხე, რომელსაც ქმედების ჩამდენი უქმნის საკუთარ თავს და პოტენციური ზიანი, რომელიც შეიძლება მესამე პირებს/საზოგადოებას მიადგეს. პირველ შემთხვევებში, წინა საქმეების მსგავსად, სასამართლომ აქაც აღნიშნა, რომ კონსტიტუციასთან შეუსაბამოა *„პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ავტორს უქმნის საფრთხეს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ“.*[33] მეორე შემთხვევაში, კვლავაც უნდა შეფასდეს *„ა) კანაფის მოხმარება უწყობს თუ არა ხელს სხვა დანაშაულის ჩადენას და ბ) სადავო ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანაფის დათესვა, მოყვანა და კულტივაცია თავისთავად ხომ არ შეიცავს მისი გავრცელების, შესაბამისად, სხვების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს“.*[34] ამ ნაწილში, უკვე განხილულ საქმეებზე დაყრდნობით, სასამართლომ მიუთითა, რომ, ერთი მხრივ, არ დგინდება პირდაპირი კავშირი მარიხუანის მოხმარებასა და სხვა დანაშაულის ჩადენას შორის, მეორე მხრივ კი, კანაფის გარკვეული ოდენობით დათესვა/მოყვანა/კულტივაცია ავტომატურად არ ქმნის მისი გასაღების საფრთხეებს. ასეთ ოდენობად სასამართომ 151 გრამამდე ნედლი მარიხუანა მიიჩნია.[35]

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, 151 გრამამდე კანაფის პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის, მოყვანის ან კულტივირებისთვის

[30] იქვე, 35-ე პარა.
[31] იქვე.
[32] იქვე.
[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017, II სამოტივაციო ნაწილი, 24-ე პარა., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/6uowjh, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[34] იქვე, 25-ე პარა.
[35] იქვე, 31-ე პარა.

თავისუფლების აღკვეთა დაუშვებელია. რაც შეეხება 266 გრამამდე კანაფის მოყვანას, ამ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა, რომ ეს მაღალი ოდენობა შესაძლოა აჩენდეს მისი გავრცელების ავტომატურ რისკებს, რის გამოც ამ ქმედებისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება დასაშვებია.[36] თუმცა სასამართლომ არაკონსტიტუციურად და აშკარად არაპროპორციულად მიიჩნია მისთვის დაწესებული სასჯელის ზომა (6-იდან 12 წლამდე) და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრის აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი.[37]

II. მარიხუანასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვა

ზემოთ მიმოხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის მიზნით, ცვლილებები შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში, ასევე, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ იმ დანართში, რომელიც განსაზღვრავს ნედლი და გამომშრალი მარიხუანის მცირე, დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობებს.

კანონმდებლობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა ბექა წიქარიშვილის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე გამოტანილ განჩინებაზე დაყრდნობით. კერძოდ, გამომშრალი მარიხუანის შემთხვევაში, დიდ ოდენობად, 50 გრამის ნაცვლად, განისაზღვრა 70 გრამზე მეტი ოდენობა.[38] მსგავსად, ნედლი მარიხუანის შემთხვევაში, 100 გრამის ნაცვლად 140 გრამზე მეტი ოდენობა დადგინდა.[39] შესაბამისად, არსებული მოწესრიგების მიხედვით, გამომშრალი მარიხუანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობა 5-70 გ., ხოლო ნედლი მარიხუანის შემთხვევაში - 10-140 გრამია.[40]

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანომ ეს ცვლილება ბექა წიქარიშვილის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან საკმაოდ გვიან, თითქმის 2 წლის შემდეგ განახორციელა.

კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ზურაბ ჯაფარიძისა და ვახტანგ მეგრელიშვილის საქმის აღსრულების მიზნით. პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების მიღებიდან მალევე, 2018 წლის სექტემბერში, განსახილველად წარედგინა ცვლილებების ამსახველი საკანონმდებლო პაკეტი.[41] როგორც უკვე ითქვა, ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის პირად სივრცეში მოხმარება ლეგალურად ცნო (გააუქმა პირადი მოხმარებისთვის დაწესებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა). ამასთანავე, სასამართლომ იმ კონკრეტულ გარემოებებზეც მიუთითა, როცა

---

[36] იქვე, 33-ე პარა.
[37] იქვე, 37-ე პარა.
[38] საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/kxjjaa, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[39] იქვე.
[40] კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ,“ მე-2 დანართი, №92, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/4ddyxe, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[41] ანა ნასრაშვილი, დასახელებული კვლევა, გვ. 22.

სახელმწიფომ, სხვების მიმართ საფრთხის თავიდან აცილების მოტივით, შესაძლოა, მოხმარებისთვის დააწესოს პასუხისმგებლობა.

გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 45[1]-ე მუხლი, რომლითაც გაიწერა კონკრეტული გარემოებები, რომელთა დროსაც მარიხუანის მოხმარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევა. ამავე მუხლში მოექცა მარიხუანის მცირე ოდენობით შეძენა-შენახვის აკრძალვა, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის ახალი ნორმის საფუძველზე (273[1]), უშუალოდ ამ ქმედების (შეძენა/შენახვა/გადაზიდვა/გადაგზავნა) ხელმეორედ ჩადენისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის ფორმები გაიწერა. გარდა ამისა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს დაემატა სამართალდარღვევის ჩადენა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.[42]

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, დასჯადია კანაფის მოხმარება *„ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, გარდა კერძო მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა შენობა-ნაგებობისა (თუ ეს შენობა-ნაგებობა იმავდროულად ეკონომიკური საქმიანობისთვის არ გამოიყენება)“.*[43] გარდა ამისა, ამავე მუხლში ცალკე გამოიყო მარიხუანის მოხმარების აკრძალვა 21 წლამდე ასაკის პირის მიერ,[44] არასრულწლოვნის თანდასწრებით,[45] ასევე, ნებისმიერ საჯარო სივრცეში[46] და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.[47]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამგვარი ნორმების გაჩენის ლეგიტიმურობისა, საკანონმდებლო ორგანომ განსაკუთრებით დაავიწროვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი. კერძოდ, ზურაბ ჯაფარიძისა და ვახტანგ მეგრელიშვილის საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარება ნებადართული უნდა იყოს *„კერძო, პრივატულ სივრცეში ან სხვაგან, დასვენების, განტვირთვის, გართობის მიზნით“.*[48] ამასთანავე, საქმეში მითითებულია, რომ მარიხუანის მოხმარება შესაძლოა აიკრძალოს *„საზოგადოებრივი*

---

[42] იქვე, გვ. 23.

[43] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 45[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wnkcxy, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[44] იქვე, მე-4 ნაწილი.

[45] იქვე, მე-8 ნაწილი, კერძოდ, *„ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ან მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა არასრულწლოვნის თანდასწრებით (მათ შორის, პირად სივრცეში) ან სასწავლო, საგანმანათლებლო ან/და სააღმზრდელო დაწესებულების, ბიბლიოთეკის, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკის, ბავშვთა გასართობი ცენტრის ან/და 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულების შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებაზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე 150 მეტრის რადიუსში“.*

[46] იქვე, მე-6 ნაწილი, კერძოდ, *„ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ქუჩაში, ეზოში, სტადიონზე, სკვერში, პარკში, სასამართლოში, აეროპორტში, სამედიცინო დაწესებულების ან/და ფარმაცევტული დაწესებულების შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, კინოთეატრში, თეატრში, საკონცერტო დარბაზში, კაფეში, რესტორანში, ნებისმიერი სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მათ შორის, საზღვაო ტრანსპორტსა და საჰაერო ტრანსპორტში), ავტოსადგურში, რკინიგზის სადგურში ან/და საჯარო სივრცეში სხვა ადგილას“.*

[47] იქვე, მე-10 ნაწილი.

[48] საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 35-ე პარა.

თავშეყრის ზოგიერთ ადგილას“[49] და არა ყველგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ფაქტობრივად აიკრძალა მარიხუანის მოხმარება ყველგან, გარდა კერძო მფლობელობაში არსებული სივრცისა. ეს მიდგომა არსებითად ავიწროებს გადაწყვეტილების არა მხოლოდ სულისკვეთებას, არამედ უშუალოდ ეწინააღმდეგება საქმის სამოტივაციო ნაწილს. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, მარიხუანის მოხმარება დასაშვები უნდა იყოს არა მხოლოდ კერძო მფლობელობაში არსებულ სივრცეში, არამედ სხვაგანაც, მათ შორის, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ (თუმცა არა ყველა) ადგილას, გარკვეული გარემოებების არსებობის პირობებში.

პრობლემურია თავად ის ფაქტიც, რომ კანონპროექტის ინიცირებისა და საპარლამენტო განხილვების ეტაპზე არ ყოფილა მარიხუანასთან დაკავშირებული საკითხების ფართოდ მოწესრიგების მცდელობა.[50] საკანონმდებლო ორგანოს არ უმსჯელია იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს პირადი მოხმარების მიზნებისთვის მარიხუანის მოპოვების წესი ისე, რომ ეს კანონისმიერი გზებით ხდებოდეს.[51] არსებული ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში ეს ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან, დღესდღეობით, ადმინისტრაციული წესით დასჯადია მცენარე კანაფის მცირე ოდენობით დათესვა, მოყვანა ან კულტივირება.[52] გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, დასჯადია მარიხუანის მცირე ოდენობით შეძენა-შენახვაც ჯერ ადმინისტრაციული, ხოლო განმეორების შემთხვევაში - სისხლისსამართლებრივი წესით.

ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსში დღემდე არ შეცვლილა 266 გრამამდე მცენარე კანაფის დათესვა/მოყვანა/კულტივირებისთვის დაწესებული სასჯელის ზომა (6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), რაც, აშკარა არაპროპორციულობის მოტივით, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. პრობლემურია ის გარემოებაც, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო მარიხუანის უარყოფითი ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა და 21 წლამდე პირთა დაცვის მიზნით, ზრუნვაზე ორიენტირებული პოლიტიკის ნაცვლად, კვლავაც რეპრესიულ მექანიზმებს იყენებს.[53]

მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდებოდა სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებებიც. კერძოდ, საგზაო მოძრაობის მონაწილე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის ქვეშ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა.[54] ეს ცვლილება პრობლემურია იმ მიზეზით, რომ გაუგებარია, თუ რატომ არის ტრანსპორტის მართვისას ალკოჰოლური თრობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, ნარკოტიკული თრობა კი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, მაშინ როცა ეს არ მყარდება რაიმე სტატისტიკური მონაცემით (მეტიც, ბოლო წლების მონაცემებით, ალკოჰოლური თრობის პირობებში ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა აჭარბებს ნარკოტიკული თრობის დროს ჩადენილი დანაშაულების რიცხვს).[55]

---

[49] იქვე.
[50] ანა ნასრაშვილი, დასახელებული კვლევა, გვ. 24.
[51] იქვე.
[52] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 100[2]-ე მუხლი.
[53] ანა ნასრაშვილი, დასახელებული კვლევა, გვ. 24.
[54] იქვე, გვ. 25.
[55] იქვე.

გარდა ამისა, ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონში შესული ცვლილებით, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული (ამ შემთხვევაში მარიხუანის) თრობის ქვეშ მართვის შემთხვევაში, დამატებითი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა, სისხლისსამართლებრივი ქმედების გარდა, პირველად გავრცელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზეც.[56] კერძოდ, *„მოსამართლეს მიეცა დისკრეციული უფლებამოსილება, სამ წლამდე ვადით უფლებების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს, მცენარე კანაფის ან მარიხუანის განმეორებით მოხმარებისთვის, ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიმართ".*[57] უფლებების შეზღუდვა წლებია კრიტიკის საგანია და ის დაკავშირებულია ნარკოტიკების მომხმარებლების მატერიალური მდგომარეობის გაუარესებასთან, საზოგადოებისგან მათ დამატებით იზოლაციასა და სტიგმატიზაციასთან.[58]

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ მარიხუანის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება, ერთი მხრივ, ქაოტური და ფრაგმენტული იყო, მეორე მხრივ კი, განხორციელებული ცვლილებებიც მაქსიმალურად იყო მიმართული დასჯისა და რეპრესიის ზომების გაძლიერებისკენ. ამ მიზნის მისაღწევად, პარლამენტს ფართო სპექტრში არ შეუხედავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისთვის და, სადაც შესაძლებლობა იყო, ვიწროდ განმარტავდა მათ შინაარსს. საკანონმდებლო ორგანოს ასევე არ უზრუნია იმ საკითხების მოწესრიგებაზე, რომლებიც მჭიდროდ და უშუალოდ არის დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან. მაგალითისთვის, მცენარე კანაფის მცირე ოდენობით, პირადი მოხმარების მიზნებისთვის მოყვანა-კულტივირება და მარიხუანის მცირე ოდენობით შეძენა-შენახვა კვლავაც დასჯადია (ეს უკანასკნელი, განმეორების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი წესითაც კი). საკონონმდებლო ორგანოს ამ საკითხების მოგვარება და კანონიერ ჩარჩოებში მოქცევა არც ჯამბულ გვიანიძის, დავით ხომერიკისა და ლაშა გაგიშვილის საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ უცდია, სადაც სასამართლომ 151 გრამამდე მარიხუანის დათესვის, მოყვანისა და კულტივირებისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა არაკონსტიტუციურად ცნო. სანაცვლოდ, პარლამენტში განიხილებოდა კანონპროექტი „მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ", რომელიც საბოლოოდ მისმა ინიციატორმა უკან გაიწვია.[59] კანონპროექტის ამოცანა ექსპორტზე გასატანად მცენარე კანაფის სამედიცინო ან/და სამრეწველო მიზნით დათესვის, მოყვანის, კულტივირების, წარმოების სამართლებრივი საფუძვლის შექმნა იყო.[60] განმარტებით ბარათში ნახსნები იყო, რომ *„კანონპროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების სულისკვეთება მცენარე კანაფის ბრუნვასთან დაკავშირებით".*[61] თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ კანონპროექტს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასთან საერთო არაფერი ჰქონია.

---

[56] იქვე, გვ. 26.
[57] იქვე.
[58] იქვე.
[59] იქვე, გვ. 22.
[60] განმარტებითი ბარათი „მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 1, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/slmzrt, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[61] იქვე.

III. სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა

3.1. ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ლაშა ბახუტაშვილის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება 2017 წელს გამოიტანა. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონის დანართში №2 დეზომორფინს არ გააჩნდა მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები, რის გამოც, ნებისმიერი ოდენობის დეზომორფინი, რომელიც ერთ გრამს არ აღემატებოდა, დიდ ოდენობად კვალიფიცირდებოდა.[62] შედეგად, სადავო ნორმა სასჯელს აწესებდა, მათ შორის, იმ ოდენობის დეზომორფინის დამზადების, შეძენისა და შენახვისთვისაც, რომელიც გამოუსადეგარი იყო მოსახმარად.[63] მოსარჩელის თქმით, რადგან დეზომორფინი ინტრავენური გზით მოიხმარება, მისი სრულად, 100%-ით მოხმარება შეუძლებელია და ინექციისთვის გამოყენებულ შპრიცში ყოველთვის რჩება მიკროსკოპული ოდენობა.[64] მოსარჩელის შემთხვევაში, გამოყენებულ შპრიცში დარჩენილმა დეზომორფინის ოდენობამ შეადგინა 0.00009 გ., რისთვისაც დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[65]

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამ საქმეში დავის საგანი არ ყოფილა დეზომორფინის იმ ოდენობით დამზადების, შეძენის ან/და შენახვის გამო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობა, რომელიც ვარგისია თუნდაც ერთი პირის მიერ ერთჯერადად მოხმარებისთვის[66] (ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ შემდგომ, სახალხო დამცველის სარჩელის ფარგლებში იმსჯელა). არც ჭურჭელზე არსებული დეზომორფინის კვალის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა ყოფილა სადავო, იმისათვის, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა ამტკიცონ ამა თუ იმ პირის მიერ მოსახმარად ვარგისი ოდენობით მისი დამზადების ფაქტი.[67] არამედ, სასამართლოს კონკრეტულად უნდა გადაეწყვიტა იმ ოდენობით დეზომორფინის დამზადების დასჯადობის საკითხი, რომელიც მოსახმარად გამოუსადეგარია.

საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო ბექა წიქარიშვილის საქმეში გამოყენებულ არგუმენტაციას, კერძოდ, მიუთითა, რომ გაუმართლებელია *„თავისუფლების აღკვეთის გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობას აზიანებს და ნარკოტიკის გავრცელების ფაქტი ან გავრცელების გარდაუვალი აუცილებლობა არ დასტურდება“.*[68] სასამართლოს თქმით, მოცემულ შემთხვევაში *„პირი ისჯება ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არ ქმნის არათუ ნარკოტიკული საშუალების გასაღების, არამედ მოხმარების საფრთხესაც კი“.*[69] ამ არგუმენტზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, რომ 0.00009 გ. დეზომორფინის დამზადების, შეძენისა და შენახვისათვის დაწესებული სასჯელი

---

[62] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/8/696 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017, I აღწერილობითი ნაწილი, მე-6 პარა., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/i5aqzb, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[63] იქვე.
[64] იქვე.
[65] იქვე.
[66] იქვე, II სამოტივაციო ნაწილი, მე-16 პარა.
[67] იქვე.
[68] იქვე, მე-19 პარა.
[69] იქვე.

ემსახურება მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს.[70] შესაბამისად, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ეს ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ღირსების უფლებასთან მიმართებით.

3.2. ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ნოე კორსავასა და გიორგი გამგებელის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება უშუალოდ გამომდინარეობდა ლაშა ბახუტაშვილის საქმიდან. ამ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა არა დეზომორფინის, არამედ მეტამფეტამინის მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით შეძენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობის შემოწმებას.

სარჩელის მომზადების დროისთვის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ არაერთ ნივთიერებასთან, მათ შორის, მეტამფეტამინთან მიმართებით, კანონმდებლობით არ ყოფილა განსაზღვრული მცირე ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები.[71] შედეგად, მეტამფეტამინის შემთხვევაში, 1 გრამამდე ოდენობის ნებისმიერი დოზა კვალიფიცირდებოდა დიდ ოდენობად იმისგან დამოუკიდებლად, მოსახმარად ვარგისი იყო თუ არა ის.[72] ნოე კორსავას და გიორგი გამგებელის შემთხვევაში, ინექციისთვის გამოყენებულ შპრიცში დარჩენილმა მეტამფეტამინის ოდენობამ ერთ შემთხვევაში შეადგინა 0.00000126 გრამი, ხოლო მეორეში – 0.0003 გრამი.[73] მოსარჩელეები მიუთითებდნენ, რომ ლაშა ბახუტაშვილის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით უკვე დამკვიდრდა სტანდარტი, რომლის თანახმადაც, მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შენახვისთვის სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება დაუშვებელია და ის ნებისმიერ ნარკოტიკულ საშუალებაზე ვრცელდება.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა ამ მსჯელობის სისწორე, თუმცა, დამატებით ყურადღება გაამახვილა იმ სპეციფიკურ გარემოებებზე, რომელიც საქართველოში მეტამფეტამინის მოხმარებას უკავშირდება. კერძოდ, საქართველოში გავრცელებულია მეტამფეტამინის კუსტარულად მიღება მცენარე ეფედრას მეშვეობით, უფრო ზუსტად კი, მასში შემავალი ნივთიერების დაჟანგვით.[74] ამ პროცესის შედეგად მზადდება „ეფედრას ვინტი“, რომელიც სხვა ნივთიერებებთან (ამფეტამინი, ფსევდოეფედრინი) ერთად, მეტამფეტამინსაც შეიცავს.[75] საბოლოოდ, ცალკე აღებული 0.0003 გ. მეტამფეტამინი, მართალია, მოსახმარად გამოუსადეგარია (რადგან, ჩვეულებრივ, მოსახმარად გამოსადეგი მინიმალური ოდენობა 0.005 გრამია), თუმცა, ნარევის შემთხვევაში, წამყვანი ნარკოტიკული საშუალების გამოუსადეგარი ოდენობა ავტომატურად არ მიანიშნებს ნარევის გამოუსადეგარობაზეც.[76]

---

[70] იქვე.

[71] ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკის 2020 წლის ანგარიში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, გვ. 8, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Eg86vP, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[72] იქვე.

[73] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №1/19/1265,1318 საქმეზე „ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ 2020, I აღწერილობითი ნაწილი, მე-7 პარაგრაფი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/mlwkid, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[74] იქვე, II სამოტივაციო ნაწილი, მე-18 პარა.

[75] იქვე.

[76] იქვე.

საბოლოოდ, სასამართლომ ნათლად აღნიშნა, რომ დაუშვებელია რომელიმე ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, თუ ის მოსახმარად გამოუსადეგარია.[77] ამასთანავე, *„ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდების მხარის და საქმის განმხილველი სასამართლოს (სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტის დახმარებით) შესაფასებელია წარმოადგენს თუ არა აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება/ნარკოტიკულ საშუალებათა ნარევი მოსახმარად გამოსადეგ ოდენობას. სწორედ საერთო სასამართლოს შეუძლია, სათანადოდ დაიცვას და აღასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტი, რომელიც გამორიცხავს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას მოსახმარად გამოუსადეგარი ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და შენახვისათვის“.*[78]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო უფრო ფართოდაც დაენახა საკითხი. კერძოდ, პრობლემურია, რომ სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში არ დააფიქსირა პოზიცია მოსახმარად გამოუსადეგარი ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთის გარდა სხვა სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების გონივრულობაზე. ლაშა ბახუტაშვილისა და ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის არაკონსტიტუციურად ცნობისთვის გამოყენებული არგუმენტაცია აშკარად აჩენს სივრცეს, რომ ამგვარ შემთხვევებში ნებისმიერი რეპრესიული მექანიზმების გამოყენება იმთავითვე არასამართლიანად ჩათვლილიყო.

3.3. სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სახალხო დამცველის ეს სარჩელი შეეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც ითვალისწინებდა ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების მიზნით, მცირე ოდენობით, უკანონოდ დამზადების, შეძენის, შენახვის ან/და მოხმარებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასა და მის ფლობას შორის კავშირი მკაფიოდ გამოკვეთა. სასამართლომ მიუთითა, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ქმედების სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, სრულად გამორიცხავს მისი გასაღების და ამ გზით სხვა ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანების რისკებს, ხოლო *„ერთი მოხმარებისთვის საკმარისი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შეძენა და შენახვა მისი მოხმარების განუყოფელი ნაწილია“.*[79] ამდენად, ერთი მოხმარებისთვის საჭირო ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვა/დამზადებისთვის ადამიანის დასჯა არსებითად მისი მოხმარების გამო დასჯის მსგავსია (თუმცა, ბუნებრივია, არაიდენტური).[80]

---

[77] იქვე, 27-ე პარა.
[78] იქვე, 23-ე პარა.
[79] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწვეტილება №1/6/770 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2019, II სამოტივაციო ნაწილი, 31-ე პარა., ხელმისაწვდომია: https://rb.gy/u4zior, წვდომის თარიღი: 26.10.2021.
[80] იქვე, 32-ე პარა.

ეს საქმე საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა ე.წ. მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკული საშუალებები და მათ მიმართ განსხვავებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითა. სასამართლოს თქმით, მომხმარებლის პირადი, ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოტივით, ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების (თუნდაც მრავალჯერადი) ან აშკარად პირადი მოხმარებისთვის (ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობით) შეძენა-შენახვისთვის საპატიმრო სასჯელების გამოყენება დაუშვებელია.[81] თუმცა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებით ნარკოტიკულ საშუალებებს შორის დიფერენცირება, შესაძლოა, გამართლებული იყოს.[82]

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის თანახმად, საპატიმრო სასჯელების გამოყენება მცირე ოდენობის კანაფის პროდუქტების და სხვა მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარების/შეძენა-შენახვისთვის არ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად.[83] თუმცა, ისეთი ნარკოტიკული საშუალებები, *„რომელიც ადვილად იწვევს შეჩვევას ან რომლის მოხმარების შემთხვევაში პირი ხდება აგრესიული და სჩადის ძალადობრივ ქმედებებს, შეიცავს რისკებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის“.*[84] ამ მსჯელობაზე დაყრდნობით სასამართლომ მიუთითა, რომ მნიშვნელოვანი ინტერესის მიღწევას ემსახურება სახელმწიფოს მიერ იმგვარი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და შეძენა-შენახვის დასჯა, რომელთა მოხმარებაც იწვევს სწრაფ შეჩვევას და ძლიერი აბსტინენციის მდგომარეობას.[85] სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, *„გონივრულია იმის ვარაუდი, რომ აბსტინენციის მდგომარეობაში მყოფი მომხმარებელი, მიდრეკილი იყოს ანტისოციალური, არამართლზომიერი და ხშირად დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისკენ. შესაბამისად, მაღალია როგორც ამგვარი ნივთიერებების მოხმარებით შექმნილი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, ისე – ასეთი ქმედების დასჯით დაცული საჯარო ინტერესის მნიშვნელობაც“.*[86]

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ, ბექა წიქარიშვილის საქმეზე დაყრდნობით (სადაც 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის ქონა პირადი მოხამარების მიზნებისთვის ადეკვატურ ოდენობად ჩაითვალა), სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის მიზნებისთვის განსხვავებული ოდენობების განსაზღვრის მიზანშეწონილობაზეც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, *„სასამართლო არ გამორიცხავს, რომ რიგ შემთხვევებში ნარკოტიკული საშუალების ბუნებიდან, მისი მოხმარების პირობებიდან გამომდინარე, ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობაზე მეტი ნარკოტიკული საშუალების შენახვაც მიჩნეული იქნეს აშკარად პირადი მოხმარების მიზნით ჩადენილად და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მსგავსად მინიმალურ გავლენას ახდენდეს ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვაზე. თუმცა, აღნიშნულის დასადგენად საჭიროა კონკრეტული ნივთიერებების თვისებების ანალიზი და მათი მოხმარების პირობების დადგენა, რაც არსებული სასარჩელო მოთხოვნის*

[81] იქვე, 55-ე პარა.
[82] იქვე, 57-ე პარა.
[83] იქვე, მე-40 პარა.
[84] იქვე, 41-ე პარა.
[85] იქვე, 58-ე პარა.
[86] იქვე, 58-ე პარა.

ფარგლებში აკრძალული ნივთიერებების სიმრავლიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შეუძლებელია“.[87]

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ღირსების უფლებასთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სანქციის სახით საპატიმრო სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას მხოლოდ ისეთი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობით შეძენისა და შენახვისათვის, რომელთა მოხმარება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას.

IV. სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვა

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სახალხო დამცველის სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება კრიტიკის საფუძველი გახდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ზრუნვაზე ორიენტირებული ყოვლისმომცველი პოლიტიკის გასატარებლად კიდევ უფრო მყარი ნიადაგის შექმნის ნაცვლად, სასამართლომ გარკვეული ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლების მიმართ დასაშვებად მიიჩნია საპატიმრო სასჯელების გამოყენება.[88] საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მოტივით ნარკომომხმარებლების ამგვარი რეპრესია და სტიგმატიზება, საფრთხის ქვეშ აყენებს სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებებით დაწყებული ჰუმანური და ზრუნვაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის შემუშავების პროცესის ბოლომდე მიყვანის პერსპექტივას. უკიდურესად პრობლემურია სასამართლოს მიერ გამოყენებული არგუმენტაციაც, რომლის მიხედვითაც აბსტინენციის მდგომარეობაში მყოფი მომხმარებელი, მიდრეკილია დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისკენ. სასამართლო, ამ შემთხვევაში, აბსტინენციის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლო თანმდევი შედეგის საფუძველზე მიიჩნევს დასაშვებად პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას. ეს მიდგომა, არსებითად, ზოგადი პრევენციის მიზნებისთვის პირის დასჯის შესაძლებლობის დაშვებაა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სხვა საქმეებში დამკვიდრებულ სტანდარტებსა და არგუმენტაციებს.

გარდა ამისა, ასევე გაუგებარია სასამართლოს მიდგომა ე.წ. მძიმე ნარკოტიკების განსაზღვრისთვის „სწრაფი შეჩვევის“ და „აგრესიული ქცევის“ კრიტერიუმების გამოყენების თაობაზე. ასეთმა გამიჯვნამ ბევრი ნარკოლოგის მხრიდან გამოიწვია კრიტიკა, რადგან ამ ნიშნების მიხედვით ნივთიერებების დაყოფა ძალიან რთულია.[89] როგორც წესი, ნარკოტიკული საშუალებების ეფექტები ადამიანის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და გარემო-პირობების გათვალისწინებით იცვლება.[90] ნარკოლოგების მოსაზრებით, ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნარკოტიკის დოზა და მისი მოხმარების სისტემატურობა.[91]

---

[87] იქვე, 64-ე პარა.

[88] ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში, 2019 წლის ტენდენციები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, გვ. 23, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZxTDwL, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[89] გაუქმდა სასჯელი გაურკვეველ ნარკოტიკებზე - რას ამბობენ ნარკოლოგები? ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GnI2Rj, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[90] იქვე.

[91] იქვე.

ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია, დაიწყოს გადაწყვეტილების კანონმდებლობაში ასახვის პროცესი და განმარტოს ამ დრომდე ბუნდოვანი საკითხები, მათ შორის, ე.წ. მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკული საშუალებების გამიჯვნის თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად მიუთითა, რომ მარიხუანის და სხვა ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარების და ერთი მოხმარებისთვის საჭირო დოზით შეძენა-შენახვისთვის საპატიმრო სასჯელების გამოყენება დაუშვებელია. თუმცა, საკანონმდებლო დონეზე ამ დრომდე არ არის გაწერილი, მარიხუანის გარდა რომელ ნარკოტიკულ საშუალებებს ეხება ეს მიდგომა.

ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არსებულ მსჯელობას თუ გავითვალისწინებთ, საკანონმდებლო ორგანომ, სხვა უწყებებისა და დარგის ექსპერტების ჩართულობით, ასევე უნდა იმსჯელოს იმაზე, ზოგიერთ ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით, ხომ არ არის საჭირო, რომ პირადი მოხმარებისთვის გამიზნულად ჩაითვალოს ერთი მოხმარებისთვის საჭიროზე მეტი ოდენობა. ეს გამოწვეულია თავად სასამართლოს მიერ გავლებული პარალელით ბექა წიქარიშვილის საქმესთან, სადაც 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა პირადი მიზნებისთვის განკუთვნილ ოდენობად ჩაითვალა.[92] ამ შემთხვევაში, სასამართლო დაეყრდნო რეგულარული მომხმარებლისთვის საჭირო ოდენობაზე მსჯელობას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ სახალხო დამცველის საქმეში დეტალურად მხოლოდ ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობაზე ისაუბრა, მან მაინც დატოვა სივრცე ამ საკითხის უფრო კომპლექსური ანალიზისთვის და მასზე შემდგომი მსჯელობის მნიშვნელობაზე მიუთითა.[93]

ამასთანავე, ბუნდოვანია ზოგიერთი საკითხი ბახუტაშვილისა და კორსავა-გამგებელის საქმეების გადაწყვეტის შემდეგ. მაგალითად, პროცესუალურად დღემდე გაურკვეველია, ყველა საქმეზე უნდა დაინიშნოს თუ არა ექსპერტიზა ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობის საკმარისობის დასადგენად. საკანონმდებლო ორგანოს არ უმსჯელია, ხომ არ გააჩინა ამ საქმეებმა მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობების დადგენისთვის სისტემატიზებული საპროცესო მოწესრიგებისა და დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა.

მასშტაბური საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების ფონზე, ოდენობებთან მიმართებით საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებები კვლავაც ფრაგმენტული და არასისტემური იყო. 2021 წლის 5 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული 8 ნივთიერების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები.[94] ამ ნივთიერებათა შორის მოხვდა ამფეტამინი, დეზომორფინი (ე.წ. „კრაკადილი“), ლიზერგინის მჟავა (ლსდ), მდმა (ე.წ. „ექსტაზი“), მეთადონი, მეთკათინონი (ეფედრონი) და მეტამფეტამინი, რომლებსაც ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით, მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საწყისი ოდენობები არ გააჩნდა.[95] გარდა ამისა, ჰეროინის შემთხვევაში ახლებურად ჩამოყალიბდა განსაზღვრული დოზების მოცულობები.[96] ახალი საკანონმდებლო მოწესრიგება არ ყოფილა რომელიმე ერთი კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულება, თუმცა ამ ტიპის ცვლილებების საჭიროება მთლიანობაში გამომდინარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების თაობაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების სულისკვეთებიდან,

[92] საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 64-ე და 65-ე პარა.
[93] იქვე.
[94] ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკის 2020 წლის ანგარიში, გვ. 6.
[95] იქვე.
[96] იქვე.

უპირველესად კი, სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობიდან, ერთი მხრივ, ლაშა ბახუტაშვილის, ხოლო, მეორე მხრივ, ნოე კორსავასა და გიორგი გამგებელის საქმეებზე.

დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებები მკვეთრად გააკრიტიკეს სამოქალაქო ორგანიზაციებმა.[97] კრიტიკის მთავარი საფუძველი გახდა შემოთავაზებული ოდენობები და ის პრინციპი, რომელიც მათი ამ ოდენობებით განსაზღვრას საფუძვლად დაედო. როგორც განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, *„ოდენობების განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნულ ნივთიერებათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო შედეგები. ოდენობის საზომად აღებულ იქნა ნარკოტიკის ეპიზოდური მომხმარებლის მიერ მოხმარებულ ერთ დოზაზე მეტი ოდენობა, რომლის დათვლა თითოეული ნივთიერების შემთხვევაში ხდება სუფთა სუბსტანციის სახით“.*[98] გარდა იმისა, რომ ბუნდოვანია, თუ რა პრინციპით განისაზღვრა დასახელებულ ნივთიერებათა მოხმარებისთვის ერთჯერადი დოზები, პრობლემურია ის ფაქტიც, რომ ერთჯერადი დოზის ოდენობა გამოითვლება არა რეგულარული მომხმარებლის დღიური დოზის გათვალისწინებით, არამედ ეპიზოდური მომხმარებლის მაგალითზე (მაგალითად, ჰეროინის შემთხვევაში, რეგულარული მომხმარებლის ერთჯერადი დოზა ხშირ შემთხვევაში შეადგენს 50-100 მილიგრამს, რაც კანონპროექტში განსაზღვრულ ოდენობაზე 10-20-ჯერ მეტია).[99] ამდენად, ახლებურმა მოწესრიგებამ მაინც უგულებელყო უფრო მოწყვლადი ჯგუფების - ნარკოტიკის რეგულარული მომხმარებლების და წამალდამოკიდებული ადამიანების საჭიროებები.[100] ამით, ფაქტობრივად, რეპრესიული ნარკოპოლიტიკით დაზარალებულთა მხოლოდ მცირე ჯგუფის პრობლემების აღიარება მოხდა.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ასევე მითითებული იყო, რომ იმჟამად მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებულად მოწესრიგდებოდა ოდენობები იმ ნარკოტიკულ საშუალებებზე, რომელთა მოხმარებაც ყველაზე მეტად არის გავრცელებული.[101] ამ მხრივ ბუნდოვანია, რა კონკრეტულ მონაცემებს ეყრდნობოდა შემოთავაზებული მიდგომა და რა არგუმენტით ვერ მოხვდა ამ ჩამონათვალში სხვა გავრცელებული ნარკოტიკები (მაგალითად, ბუპრენორფინი და კოკაინი).[102]

ამ მნიშვნელოვანი ხარვეზების მიღმაც, უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ნარკოტიკული საშუალების ოდენობების ახლებური განსაზღვრა ვერ იქნება საკმარისი არსებული ნარკოპოლიტიკის სისტემური და ფუნდამენტური ცვლილებისათვის. ამ ნაწილში ღირებულია Human Rights Watch-ის დაკვირვებები საქართველოზე, სადაც ის მიუთითებს *„როგორც უმცირესი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების ფლობისა და მოხმარების დასჯადობის*

---

[97] სამოქალაქო ორგანიზაციები ნარკოტიკების ოდენობებზე კანონპროექტს ეხმიანებიან, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GrEIoC, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[98] განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GlDKdf, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[99] სამოქალაქო ორგანიზაციები ნარკოტიკების ოდენობებზე კანონპროექტს ეხმიანებიან, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GrEIoC, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[100] EMC ნარკოპოლიტიკის კანონპროექტის განხილვას ეხმაურება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EfsUDR, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[101] სამოქალაქო ორგანიზაციები ნარკოტიკების ოდენობებზე კანონპროექტს ეხმიანებიან, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GrEIoC, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[102] იქვე.

პრობლემურობაზე, ასევე, ზოგადად ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომებზე დამყარებული ნარკოპოლიტიკის აუცილებლობაზე".[103]

საქართველოში ამ საკითხის ირგვლივ ფუნდამენტური გარდატეხის მცდელობა იყო „საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის" მიერ შემუშავებული და 2017 წელს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის არსებითი ცვლილების გზა.[104] კანონპროექტი ითვალისწინებდა მკურნალობა-რეაბილიტაციის და პრევენციის სისტემების გაუმჯობესებას და ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და მოხმარების მიზნით ფლობის დეკრიმინალიზაციას.[105] მასში სამართლიანად იყო განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებების მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საწყისი ოდენობები, ასევე, ნარკოტიკული დანაშაულისთვის დაწესებული სანქციები და სხვ.[106] საბოლოოდ, საკანონმდებლო პაკეტის ჯანდაცვის კომიტეტზე პირველი მოსმენით განხილვის შემდეგ, პარლამენტში დღემდე გაურკვეველი ვადით არის შეჩერებული კანონპროექტთან დაკავშირებული სამუშაო პროცესები.[107]

დასკვნა

საქართველოში ნარკოპოლიტიკის განვითარების ისტორია ინახავს განსაკუთრებით მძიმე გამოცდილებასაც, და ჰუმანიზაციის კუთხით ეპიზოდური, თუმცა მნიშვნელოვანი გამარჯვებების მაგალითებსაც. ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციისა და ლიბერალიზაციის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო და დღემდე რჩება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებებმა შექმნა ერთგვარი საფუძველი, რომელზეც უნდა დაშენებულიყო უფრო ყოვლისმომცველი, სისტემური და ზრუნვაზე ორიენტირებული ხედვა ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასა და შეძენა-შენახვასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საფუძველი თავდაპირველად საკმაოდ მყარი ჩანდა, პოლიტიკური ნების არარსებობამ შეუძლებელი გახადა ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილება, თავად საკონსტიტუციო სასამართლომ კი, ზოგიერთ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში, არსებული *status quo*-ს რადიკალური გარდაქმნის ნება ვერ გამოამჟღავნა.

საკანონმდებლო ორგანო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ძირითადად ტექნიკურად აღასრულებდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონმდებლობაში ასახვა არაგონივრულად გაჭიანურდა, საერთოდ არ აღსრულებულა ან პარლამენტმა სასამართლოს მსჯელობა ზედმეტად დაავიწროვა და არასწორად განმარტა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნარკოპოლიტიკის არსებითი შეცვლის ერთადერთი მცდელობა საქართველოში 2017 წელს იყო, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამ მიზნით წარდგენილი კანონპროექტის განხილვა პარლამენტში შეჩერდა.

---

[103] ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკის 2020 წლის ანგარიში, გვ. 7.
[104] ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში (შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები), გვ. 16.
[105] იქვე.
[106] იქვე.
[107] იქვე.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლიდან დღემდე მიღებული გადაწყვეტილებებისა და პარლამენტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, დღეს არსებული მდგომარეობა კრიტიკული თვალით არის შესაფასებელი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ნარკოპოლიტიკა მნიშვნელოვანწილად შეიცვალა, ფუნდამენტური გარდატეხები მას არ მოუტანია. პოლიტიკური ნების არარსებობა ამ შემთხვევაში გადამწყვეტ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს ხელისუფლება დღემდე რეპრესიული მექანიზმებით განაგრძობს ნარკოტიკებთან ბრძოლას. ფაქტობრივად, მარიხუანის გარდა, ნებისმიერი ნარკოტიკის რეგულარული მომხმარებლის ბედი კვლავაც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ციხესთან, ვიდრე ზრუნვისა და მკურნალობის სერვისებთან. ეს იმ ფონზე, როცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნარკოტიკების მომხმარებლების მკაცრ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ძალიან მცირე (თუ საერთოდ რაიმე) სარგებელი მოაქვს.[108]

Human Rights Watch აღნიშნავს, რომ მისთვის *„უცნობია რაიმე ემპირიული მონაცემი, რომლითაც დადასტურდება ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების მიერ რაიმე სხვა, მძიმე დანაშაულის ჩადენა“.*[109] იგივე ორგანიზაცია თავის ანგარიშში მიუთითებს: *„ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების კრიმინალიზაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებისთვისაც კონტრპროდუქტიულია. მკაცრი სისხლისსამართლებრივი ნარკოპოლიტიკის მიუხედავად, ბოლო ათწლეულში ნარკოტიკების მოხმარება, ფაქტობრივად, იზრდება. ადამიანებისთვის, ვინც ნარკოდამოკიდებულებას ებრძვის, არსებული ნარკოპოლიტიკა, ხშირად ნიშნავს დაპატიმრება-გათავისუფლების ციკლებს და ნებაყოფლობითი მკურნალობის ძალიან შეზღუდულ ან საერთოდ არანაირ ხელმისაწვდომობას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აგრეთვე საფრთხეს უქმნის ნარკომომხმარებელთა ჯანდაცვის უფლებას, უბიძგებს რა მათ მალვისკენ. ეს ხელს უშლის ჯანდაცვის და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისებით სარგებლობას, რაც ამ ადამიანებისთვის დაავადებებით და ზოგჯერ, ფატალური ზედოზირებით მთავრდება“.*[110]

ამ ფონზე ასევე იმსახურებს კრიტიკას საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომაც, რომელმაც სახალხო დამცველის სარჩელზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში დასაშვებად მიიჩნია ე.წ. მძიმე ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ რეპრესიული მექანიზმების გამოყენება. გარდა ამისა, უდავოდ პრობლემურია ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აჭიანურებს რიგ საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებას. მაგალითისთვის, სასამართლოს არ გამოუტანია გადაწყვეტილება „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ 2015 და 2016 წლებში წარდგენილ ორ სარჩელზე. პირველი შეეხება ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირების მიმართ სხვადასხვა სამოქალაქო უფლების (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების მართვისა და საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლების) ავტომატური ჩამორთმევის კონსტიტუციურობას (საქართველოს მოქალაქეები - კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).[111] მეორე სარჩელით კი ორგანიზაცია უმნიშვნელო ოდენობის ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების

---

[108] სამაგალითო დასჯა - საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, მოკლე მიმოხილვა, Human Rights Watch, 2018, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ylieid, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

[109] იქვე.

[110] იქვე.

[111] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა გაჭიანურების პრობლემა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BbnKXr, წვდომის თარიღი: 26.10.2021.

მიზნით შეძენა/შენახვის კრიმინალიზაციის არაკონსტიტუციურობას ითხოვს (საქართველოს მოქალაქეები - გელა ტარიელაშვილი, გიორგი კვირიკაძე, ვლადიმერ გასპარიანი, ივანე მაჭავარიანი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).[112] გარდა ამისა, აღსანიშნავია სახალხო დამცველის სარჩელიც, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის ბოლოს წარედგინა.[113] ომბუდსმენმა გაასაჩივრა „ქუჩის ნარკოტესტირების" მთლიანი პროცედურა, *„პირის წარდგენიდან, მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ სასამართლო დადგენილების გამოტანის ეტაპამდე".*[114]

მნიშვნელოვანია, რომ როგორც პარლამენტმა, ისე საკონსტიტუციო სასამართლომ, სათანადოდ გაიაზრონ მათი უმნიშვნელოვანესი როლი, მისია და არსებული ნარკოპოლიტიკის რადიკალური ცვლილების საჭიროება. აუცილებელია, ყველა აქტორის მოქმედებები განმსჭვალული იყოს ადამიანზე, მის ზრუნვასა და მკურნალობაზე ორიენტირებული, ჰუმანური ნარკოპოლიტიკის შექმნის მოტივით. ამ პროცესში კი, მაქსიმალურად უნდა იყოს ლიმიტირებული რეპრესიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობები.

შეჯამების სახით, შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი რეკომენდაციები:

- საკანონმდებლო ორგანომ უნდა განახორციელოს ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც, მათ შორის, სამართლიანად განსაზღვრავს ნარკოტიკული საშუალებების ოდენობებს
- ნარკოპოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს არა ნარკოტიკების მომხმარებლების დასჯაზე, არამედ ზრუნვისა და მკურნალობის სერვისების ხელმისაწვდომობაზე
- პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე რეაქციული მოქმედების ნაცვლად, თავად უნდა ქმნიდეს ნარკოპოლიტიკის მწვავე საკითხებზე პოლიტიკურ დღის წესრიგს
- საკანონმდებლო ორგანო არ უნდა ავიწროებდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შინაარსს. პარლამენტი მათ კანონმდებლობაში ასახვას გადაწყვეტილებაში მოყვანილი არგუმენტაციების სრულფასოვანი განმარტების საფუძველზე უნდა ახდენდეს
- პარლამენტმა გონივრულ ვადაში უნდა უზრუნველყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვა
- თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილებების დროულად გამოტანა
- საკონსტიტუციო სასამართლო უფრო მეტად თანმიმდევრული უნდა იყოს და მკაფიოდ გამოკვეთოს ზრუნვაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა.

---

[112] იქვე.

[113] საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Etwg6r, წვდომის თარიღი: 28.10.2021.

[114] სახალხო დამცველმა ე.წ. „ქუჩის ნარკოტესტირების" კანონიერებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Cts6L6, წვდომის თარიღი: 28.10.2021.

ბიბლიოგრაფია

ანგარიშები:

- სამაგალითო დასჯა - საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, მოკლე მიმოხილვა, Human Rights Watch, 2018
- ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში (შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019
- ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში, 2019 წლის ტენდენციები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020
- ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკის 2020 წლის ანგარიში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები:

- ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015
- ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, 2017
- ლაშა ბახუტაშვილი პარლამენტის წინააღმდეგ, 2017
- ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017
- გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017
- ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018
- საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2019
- ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2020.

ელექტრონული რესურსები:

- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - https://matsne.gov.ge/ka;
- საქართველოს პარლამენტი - https://info.parliament.ge/;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - https://constcourt.ge/ka;
- საქართველოს სახალხო დამცველი - https://ombudsman.ge/;
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი - https://socialjustice.org.ge/;
- რადიო თავისუფლება - https://www.radiotavisupleba.ge/.